პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 292 (11598)
ოთხშაბათი
16
დეკემბერი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა

მიიღო ამერიკის შშ პროფკავშირული დელეგაცია

15 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპიროს ნავსადგურის მტვირთავთა და საწყობის მუშათა ერთიანი პროფკავშირის დელეგაცია, რომელშიც შედიან პროფკავშირის მდივანი — ხაზინადარი ლუის გოლდბლატი (დელეგაციის მეთაური), ტომას ლოურენსი და მაიკლ სამოდუროვი.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ამერიკელ პროფკავშირულ მოღვაწეებს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელსაც დაესწრნენ საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ა. ა. ბულგაკოვი და საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ა. ი. კოეტკინი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

დღეები წყვეტენ წლის წარმატებას

მიიწურა შვიდწლედის პირველი წელი, საბჭოთა ადამიანების გმირული შემოქმედებითი შრომისა და ბრწყინვალე გამარჯვებათა წელი.

დღეები დარჩა 1959 სამეურნეო წლის დამთავრებამდე... ახალი წლის მიჯნაზე ჩვენს მეხსიერებაში ცოცხლდება საბჭოთა ხალხის გრანდიოზული მიღწევები, უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები, რომლებითაც ესოდენ მდიდარია შვიდწლედის პირველი წელი.

1959 წელს გზა გაუხსნა პარტიის XXI ყრილობამ. დიადი შვიდწლიანი გეგმა, რომელიც ყრილობამ შეიმუშავა, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სამოქმედო პროგრამად გადაიქცა. და მათ თავდადებული ბრძოლა გააჩაღეს შვიდწლედის ზღუდეების ასაღებად.

ჩვენ მოწმენი ვართ ჩვენი დიადი სამშობლოს ისტორიაში უმაგალითო მიღწევებისა, ეკონომიკისა და კულტურის განუხრელი აღმავლობისა.

კოსმოსის უსაზღვრო სივრცეებს სერავენ საბჭოთა რაკეტები. არქტიკის ყინულებს მძლავრად მიაღოღავენ ატომური ყინულმჭრელი „ლენინი“. კომუნიზმის მშენებელი ქვეყნის მეცნიერებამ და ტექნიკამ თითქოს დედამიწისაკენ შემოაბრუნა მთვარის მეორე, უხილავი მხარე.

უმაგალითოდ გაიზარდა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიულმა ვიზიტმა ამერიკაში იმედი და სიხარული ჩაუნერგა ხალხებს, მნიშვნელოვნად შეანელა საერთაშორისო დაძაბულობა.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად შვიდწლედის პირველ წელს ახალი შრომითი საგმირო საქმეებით გაახარეს დედა-სამშობლო ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა.

სიამაყითა და სიხარულით გვივსებს გულს იმის შეგნება, რომ მარტო წელს საქართველოში შეიქმნა 21 სამრეწველო საწარმო.

ველყოფს ნაკისრი ვალდებულების განაღდებას. ნათქვამია, სიტყვის გატეხას თავის გატეხა სჯობსო. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა დეკემბრის დარჩენილი დღეები გადავაქციოთ დაძაბული მუშაობის დღეებად, იმისათვის ბრძოლის დღეებად, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ წლიური გეგმები, სასახელოდ გავანაღდოთ ნაკისრი ვალდებულებები.

დაე კიდევ უფრო უხვად წამოვიდეს გამარჯვებათა პატაკები სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრების შესახებ საწარმოებიდან და კოლმეურნეობებიდან!

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — მოსკოვში გაიხსნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. იგი შეაჯამებს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის გაწეული დიდი მუშაობის შედეგებს, დასახავს მომავლის ფართო პერსპექტივებს.

დეკემბრის პლენუმის შესახვედრად შესანიშნავი პატრიოტული მოძრაობა წამოიწყეს ჩვენმა მეჩაიეებმა. 140 ათასი ტონა ჩაი კარგი მიღწევაა, ამბობენ მეჩაიეები. — მაგრამ სამშობლო მეტს მოითხოვს! და მათ აქედანვე გააჩაღეს ბრძოლა შვიდწლედის მეორე წელს ჩაის მწვანე ფოთლის კიდევ უფრო უხვი მოსავლის მისაღებად.

მეჩაიეთა პატრიოტულ თაოსნობას ფართოდ უნდა დაუჭიროს მხარი სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელმა. საჭიროა აქედანვე დაუღალავად ვიმუშაოთ იმისათვის, რომ 1960 წელს შემდგომ ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე.

რამდენი სამუშაოა ახლა ვენახებსა და ხეხილის ბაღებში, მეცხოველეობის ფერმებში!

დეკემბრის დარჩენილი დღეები გადამწყვეტი დღეებია. ჩვენი ამოცანაა შემდგომ გავამრავლოთ მოპოვებული მიღწევები, დავაწინაუროთ ჩამორჩენილები, ახალი გამარჯვებებით შევხვდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს და საქართველოს კომპარტიის XX ყრილობას!

რით ეგებებით თქვენ 1960 წელს?

ქუთაისის მრეწველოგამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ფართოდ გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის მშრომელებმა შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს — სოციალისტური ვალდებულებით ნაკისრ ვადაზე ერთი დღით ადრე — 14 დეკემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების 1959 წლის გეგმა. დავალება შესრულებულია უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის გამოშვების მხრივ.

წლიური გეგმები ვადამდე გაანაღდეს ელექტრომექანიკური, მინის ტარის, რძის, ლუდის ქარხნებმა, ტყავფეხსაცმლის კომბინატმა, ავეჯისა და სამკერვალო ფაბრიკებმა, ხოჩკომბინატმა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამრეწველო კომბინატმა და სხვა საწარმოებმა.

ქუთაისის მშრომელები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ შვიდწლედის პირველი წლის ბოლომდე სამშობლოს მისცენ სულ მცირე 60 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ტყიბულელები უპატაკებენ

ტყიბული, 15 დეკემბერი. (საქდესი). სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში, შეასრულა ქვანახშირის ამოღების წლიური დავალება. ვადამდე შესრულებულია აგრეთვე სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა წლიური გეგმა. შახტის კოლექტივმა დაზოგა და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანა 1,5 მილიონ მანეთზე მეტი.

შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია უბანმა, რომელსაც გ. ტურძილაძე ხელმძღვანელობს. მან წლის დამდეგიდან გეგმის გადამეტებით 15 ეშელონი ქვანახშირი ამოიღო.

„ვიაროთ მხოლოდ წინ და წინ“

ტამბოვის ოლქის მიჩურინსკის რაიონის კომკავშირის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეთა წერილი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს

ტამბოვის ოლქის მიჩურინსკის რაიონის კომკავშირის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც უზიარებენ თავიანთ წარმატებებს, მოუთხრობენ თავიანთი ცხოვრებისა და გეგმების შესახებ.

ცენტრალური შავნიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე ვორონეჟში 1957 წელს კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ე. ი. ანდრეევამ ყველა კოლმეურნის სახელით მოუწოდა სოფლის მშრომელებს გაედიდებინათ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და იკისრა ვალდებულება, რომ 1960 წელს ხორცის გამოსავლიანობა 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაადიდოს 170 ცენტნერამდე და რძისა — 400 ცენტნერამდე. მაშინ კოლმეურნეობაში ან ჰექტარ მიწაზე სულ 38 ცენტნერ ხორცსა და 200 ცენტნერზე ოდნავ მეტ რძეს აღებდნენ.

წერილში ნ. ს. ხრუშჩოვისადმი კოლმეურნეები სიხარულით იუწყებიან, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელმა ვადაზე ერთი წლით ადრე შეასრულა ნაკისრი დიდი ვალდებულებანი. 2 დეკემბრისათვის კოლმეურნეობაში 100 ჰექტარ მიწაზე წარმოებულია (რეალიზებულია) 171 ცენტნერი ხორცი და 350 ცენტნერი რძე. 1958 წელთან შედარებით ხორცის წარმოება აქ გადიდდა 40-ჯერ და მეტად, რძისა — თითქმის 8-ჯერ.

ეს შედეგები მიღწეულია პირუტყვისა და ფრინველის სულადობის ზრდასთან ერთად.

ახლა კოლმეურნეები ისახავენ ახალ მიჯნებს — გათვალისწინებულია კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიონ რძისა და ხორცის წარმოებაში.

ჩვენ განუსაზღვრელი შესაძლებლობანი მოგვეპოვება, ნათქვამია წერილში, და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი სამშობლოს სასახელოდ უკლებლივ გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი, ერთ წუთსაც არ დავჯერდეთ მიღწეულს, არამედ ვიაროთ მხოლოდ წინ და წინ.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა უპასუხა კოლმეურნეებს. მის წერილში ნათქვამია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ კომინტერნის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებს ხორცისა და რძის წარმოების გადიდების შესახებ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას.

„თქვენს თაოსნობას, — წერს კოლმეურნეებს ნ. ს. ხრუშჩოვი, — განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისათვის. თქვენი მაგალითით თქვენ დაგვანახეთ, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყველა შესაძლებლობა მოეპოვებათ, რათა მოკლე ვადებში შექმნან ჩვენი ხალხისათვის კვების პროდუქტების ხიუბვე“. (საქდესი).

ჩაი რესპუბლიკის სიამაყეა

ახლავე ვიზრუნოთ 1960 წლის უხვი მოსავლისათვის

სამშობლოს საღიდებლად

ჩაის ბაღრდოვან პლანტაციებში მუშაობა ხაკოლმეურნეო ცხოვრების გარიჟრაჟზე დავიწყე. მაშინ 15 წლისა ვიყავი. მას შემდეგ 29 წელი გავიდა.

შვიდწლედის პირველ წელს ჩემი პირობა იყო 0,7 ჰექტარზე მიმეღო 13 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი. როცა ასეთ დიდ ვალდებულებას ვიღებდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ამის შესრულება არც ისე ადვილი საქმე იყო. ვინ იცის, რამდენჯერ მაქვს შემოვლილი თვითეული ბუჩქი, რამდენი რამე განმიცდია მანამდე, სანამ ფოთოლი საკრეფად იქნებოდა.

ბუნებამ არ იცის ამაგის უგულებელყოფა და გულმოდგინე შრომას, სიყვარულით გაკეთებულ საქმეს უხვად აჯილდოებს. წელს ცოტა შრომა როდი დამჭირდა პირობის გასანაღდებლად. დაენებული წვიმების დროსაც ჩის პლანტაციებში ვიყავი. ხშირად დღეში 200-250 კილოგრამ ფოთოლს ვკრეფდი.

კრეფის სეზონი დამთავრდა. კოლმეურნეობის კანტორაში ანგარიშწარმოების მუშაკები აჯამებდნენ მუშაობის შედეგებს, ადგენდნენ სიებს, ვის რამდენი კილოგრამი ჩაის ფოთოლი ჰქონდა მოკრეფილი.

0,7 ჰექტარზე 15.083 კილოგრამი ჩაი! — ეს ციფრი ჩაიწერა ჩემს წიგნაკში. პირველად ეს რაიონში გაუკვირდათ. მაგრამ აქ გასაკვირველი არაფერია, თავდადებულმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო.

ამას წინათ ჩემი ყურადღება მიიპყრო გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა ფოტოსურათმა, რომელსაც ჰქონდა წარწერა: „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ხუნშანის (სიხიანის მაზრა, ანხუეის პროვინცია) სახალხო კომუნის წევრი ჩაის მკრეფავი ჯონ ცინ-ხე დღეში 250 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. სურათზე ჯონ ცინ-ხე თავის მუშაობის მეთოდს აცნობდა მოხსწავლეებს.

ამან სურვილი აღმძრა წერილი მიმეწერა ჩინელი მეჩაიესათვის, დამემყარებინა მასთან მეგობრული ურთიერთობა, შევჯიბრებოდით ერთმანეთს შრომაში, მეტი ჩაისათვის ბრძოლაში. ასეც მოხდა. ჯონ ცინ-ხეხაგან მივიღე თანხმობის წერილი. ამან დიდად გამახარა. ეს კიდევ უფრო შემოწყობს ხელს ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

ახლა როცა საქართველოს სს რესპუბლიკაში გაჩაღდა ბრძოლა იმისათვის, რომ 1960 წელს მიღებულ იქნას 145 ათასი ტონა ჩაი, მეც მინდა ჩემი წვლილი შევიტანო. პირობას ვიძლევი, რომ შვიდწლედის მეორე წელს 0,7 ჰექტარზე მივიღებ 16 ათას კილოგრამ ჩაის ნედლეულს და ამით შვიდწლედის პირველ წელს მიღებულ ჩაის მოსავლიანობას ½ ათასი კილოგრამით გადავჭარბებ.

ვცდილობთ სწრაფად დავამთავროთ ჩაის პლანტაციებში მწკრივთა შორის ნიადაგის გადაბარვა ფოსფოროვანი და კალიუმის სასუქის შეტანით. წესრიგში მომყავს სადრენაჟო არხები. განზრახული მაქვს დეკემბერში ჩაის პლანტაციებში გათვალისწინებული სამუშაოები დავამთავრო ვადაზე ათი დღით ადრე.

ტატიანა ტყებუჩავა,
ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის კოლმეურნეობის მეჩაიე.

გაუტეხავი სიტყვა

დიდხანს უტრიალა ჩაის ბუჩქებს სეხნია სულაქველიძემ. გამოცდილმა ბრიგადირმა ერთმანეთს შეადარა ხუთივე რგოლის პლანტაციები, მკრეფავებისათვის მიჩენილი ნაკვეთები. მერე ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო, მოკლე ჩანაწერი გააკეთა: „ნიკო მორჩაძის რგოლი პირველი შეუდგება გასხვლას“.

გულის პასუხს ელოდა ბრიგადირი ჩანაფიქრ კითხვებზე — პლანტაციებს ხომ არაფერი აკლია? იმედს ხომ გამიმართლებს? პარტიას, ხალხს სიტყვა რომ მივცე, ხომ არ შევრცხვები?..

— არა, სიტყვას არ გატეხს სეხნია, თავს არ შეირცხვენს შრომის გმირი! — ასე გულდაჯერებული გამოელაპარაკა ბრიგადირი თავის თავს, და სოფლისაკენ დაეშვა.

ფეხი ეღრძო გზაზე ბრიგადირს, ძლივს ჩამოაღწია სახლამდე. ჩვეულებრივზე უფრო გვიან მივიდა შინ. ყველას ეძინა, ფხიზლობდა მხოლოდ მისი მეუღლე ანა. ცოლს კოჭლობა რომ არ შეემჩნია, მისვლისთანავე ჩამოჯდა სეხნია. ივაზშმა, მერე ბავშვების საწოლ ოთახში შევიდა, მამობრივი სიყვარულით გადაკოცნა თავისი ბიჭუნები და დასაძინებლად გავიდა.

სეხნიამ და მისმა მეუღლემ ანა მხეცაძემ ჯერ კიდევ დაქორწინებამდე 1951 წელს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — სოციალისტური შრომის გმირის სატიო წოდება დაიმსახურეს. მომდევნო წელს წინათ გაბმულმა სიყვარულის ძაფმა ორი გმირის ცხოვრება ერთმანეთს დაუკავშირა.

შრომის გმირები სწავლასაც დაეწაფნენ. ცოლ-ქმარმა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა. სეხნია ამასაც არ დასჯერდა, სწავლა განაგრძო... ახლა იგი დაუსწრებლად სწავლობს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტის მესამე კურსზე.

შარშან სეხნია სულაქველიძეს მშობლიურ სოფელში, წყალტუბოს რაიონის სოფელ რიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობაში მეშვიდე ბრიგადის ხელმძღვანელობა მიანდეს. ბრიგადამ 11 ტონა ზეგეგმითი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მისცა სამშობლოს.

ასე მოვიდა სეხნია სულაქველიძე და მისი ბრიგადა შვიდწლედის ზღუდეებზე...

— ჩვენს ოჯახს გმირთა ოჯახს ეძახიან, ჩვენს ბრიგადას — გმირების ბრიგადას. რით შემიძლია კვლავ ვასახელო სამშობლო, რომელმაც ესოდენ დიდად დააფასა ჩვენი შრომა?..

— ახალი შემართებით, ახალი საგმირო საქმეებით, — თვითონვე უპასუხა ამ კითხვას და მაგიდას მიუჯდა, ანგარიში დაიწყო.

მილიონი მანეთი!.. ადვილად იტყვის ენა, ადვილია სიტყვის თქმა, საზეიმო დაპირებები,— თავისთვის ხმამაღლა წარმოსთქვა სეხნიამ, — მაგრამ თუ სიტყვა გატეხე?! — ბრძნულად უთქვამს ხალხს — სიტყვის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო.

გადაწყდა — მეშვიდე ბრიგადა იბრძოლებს შვიდწლედის პირველ-სავე წელს მილიონი მანეთის ფულადი შემოსავლისათვის.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შალვა ჯიშკარიანმა ჯერ საერთო კრებას, ხოლო შემდეგ პარტიის რაიკომს, რაისაბჭოს აღმასკომს, რაიონული გაზეთის რედაქციას აცნობა ბრიგადის გადაწყვეტილება.

და როცა საკრეფი დუყები წამოიშალნენ, ბრიგადამ არ დააყოვნა, „მწვანე ოქროს“ კრეფა გააჩაღა.

დამთავრდა ფოთლის კრეფის სეზონი. სოციალისტური შრომის გმირის სეხნია სულაქველიძის ბრიგადამ თავი არ შეირცხვინა, გათვალისწინებული 93 ტონის ნაცვლად მოკრიფა 108 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ბრიგადის ფულადმა შემოსავალმა მილიონ მანეთს გადაამეტა.

ახლა მიღწეულს როდი სჯერდებიან. ამ დღეებში მთელი ფრონტით უტევენ, აჩქარებენ ჩაის საზამთრო სამუშაოებს. აქედანვე ქმნიან პირობებს შვიდწლედის მეორე წელს „მწვანე ოქროს“ კიდევ უფრო უხვი მოსავლის მიღებისათვის.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: წყალტუბოს რაიონის სოფელ რიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი სეხნია სულაქველიძე (მარჯვნივ) და მისი მეუღლე, სოციალისტური შრომის გმირი ანა მხეცაძე ჩაის პლანტაციებში.

ფოტო ო. ბერეჩიკიძისა.

კომკავშირელთა ლაშქრობა ჩაის პლანტაციების სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის

ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კომკავშირელთა, მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის, გალის რაიონის სოფელ მზიურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობისა და ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის თაოსნობის საფუძველზე საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაცხადა კომკავშირელთა ლაშქრობა რესპუბლიკის ჩაის პლანტაციების სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის უახლოესი ორი წლის განმავლობაში და მათი სანიმუშო მოვლისათვის.

საქართველოს ახალგაზრდობა ვალდებულებას კისრულობს 1959-1960 წლებში გამოიყვანოს 57 მილიონამდე შეხავსებული ნერგი და 1960-1961 წლებში სავსებით აღმოფხვრას ჩაის პლანტაციების სიმეჩხრე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო **ადგენენ:**

1. მოწონებულ იქნას ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის ახალგაზრდობისა და მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის, გალის რაიონის სოფელ მზიურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდობის ინიციატივა ჩაის პლანტაციების სიმეჩხრის შეხავსებული ნერგებით ლიკვიდაციისათვის კომკავშირული ლაშქრობის მოწყობის საქმეში.

2. დაევალოს საქართველოს კომპარტიის რაიონულ, საქალაქო და საოლქო კომიტეტებს, ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს, რესპუბლიკის მეჩაიეობის რაიონების საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ კომკავშირულ ორგანიზაციებს, კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას იმ ვალდებულებათა შესრულებაში, რომლებიც მათ იკისრეს შეხავსებული ნერგების გამოყვანისა და ჩაის პლანტაციების სიმეჩხრის ლიკვიდაციის მიზნით; უზრუნველყონ ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობის გამოცდილი სპეციალისტების მხრივ, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფარდულებისა და სანერგეების გამოყოფა, საჭირო მასალით მომარაგება შეხავსებული კოშტების დასამზადებლად, ტრანსპორტი მათი გადაზიდვისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავამაღლოთ საზოგადოებრიობის როლი სოციალისტური წესრიგის დაცვაში

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

კომუნისტური პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევს მშრომელთა აღზრდას შრომისმოყვარეობის, კოლექტივიზმის, სოციალისტური მორალის პრინციპების სულისკვეთებით. ახალი ადამიანი ყალიბდება გმირულ შემოქმედებითს შრომაში, წარსულის გადმონაშთების დაძლევის გზით. ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა კომუნიზმისაკენ მიდის, დიდად იზრდება საბჭოთა საზოგადოებრიობის როლი საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ საკითხს მიეძღვნა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელიც 14 დეკემბერს გაიმართა თბილისში.

მოხსენება „საზოგადოებრიობის როლის ამაღლება დამნაშავეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მეჟავანაძემ.**

ჩვენი ხალხი, — ამბობს ამხ. მჟავანაძე, — რომელმაც ფართო ფრონტით გაშალა კომუნიზმის მშენებლობა, ვეღარ შეურიგდება იმას, რომ საზოგადოების ზოგიერთი წევრი სჩადის ქმედობას, რომელიც ზიანს აყენებს საზოგადოებას, არღვევს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს. ჩვენს ქვეყანაში არ არის ეკონომიური და სოციალური მიზეზები, რომლებიც იწვევენ მანკიერებას, რაც კაპიტალისტურ სამყაროს სჩვევია.

სკკპ XXI ყრილობამ მოითხოვა მთავარი ყურადღება მიექცეს პროფილაქტიკურ, აღმზრდელობითს ღონისძიებებს, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ, ხოლო ზოგჯერ სულაც გამორიცხავენ იმას, რომ ცალკეულმა პირებმა გამოავლინონ სოციალისტური წყობილებისათვის უცხო წარსულის გადმონაშთები. ეს გადმონაშთები ვლინდება საზოგადოებრივი შრომისადმი არაკეთილსინდისიერი, დამოკიდებულების, ხულიგნობის, ლოთობის, დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, სოციალისტური საკუთრების დატაცების სახით. დანაშაულთა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა თავიდან აცილების ამოცანა შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით.

საზოგადოებრიობის მონაწილეობა არათუ გაუმჯობესებს მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მუშაობას, არამედ ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მართვაში მასების უფრო ფართოდ ჩაბმას.

ამხ. მჟავანაძე ლაპარაკობს უდიდეს წარმატებებზე, რაც საბჭოთა ხალხმა, კერძოდ, საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში, ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში შვიდწლედის დიადი გეგმების მალე განხორციელებისათვის, სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

მიღწეული წარმატებანი, ამბობს მომხსენებელი, იმას მოწმობს, რომ საბჭოთა ადამიანები — კომუნიზმის აქტიური მშენებლები იჩენენ საზოგადოების წინაშე თავიანთი მოვალეობის მაღალ შეგნებას. ამ მიღწევათა ფონზე სრულიად შეუწყნარებელია, რომ ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი წევრის შეგნებასა და ქცევაში კიდევ გამოსჭვივის კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის გადმონაშთები.

უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს არაერთგზის განუხილავს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების საქმიანობის გაძლიერებისა და გაუმჯობესების საკითხები, რამაც გამოიწვია სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევათა შესამჩნევი შემცირება.

წარსულის ერთ-ერთი მავნე გადმონაშთია ლოთობა. მაგრამ, მიუხედავად სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებისა ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, ჩვენში ამ მიმართულებით ჯერჯერობით ცოტა რამეა გაკეთებული. ამავე დროს სოციალისტური კანონიერების დარღვევათა მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება სიმთვრალის დროს.

პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ჯანმრთელობის დაცვის, მილიციის, სასამართლოს, პროკურატურის ორგანოებმა, სახალხო ნებაყოფლობითმა რაზმებმა, ამხანაგურმა სასამართლოებმა, მთელმა საზოგადოებრიობამ ყოველი ღონისძიებით უნდა გააძლიერონ ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ.

მომხსენებელი ლაპარაკობს იმაზე, რომ საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვაში ბევრი ფუნქცია, რომლებსაც სახელმწიფო ორგანოები ასრულებენ, თანდათანობით უნდა გადავიდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში, რომლებიც მათ განახორციელებენ სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად.

ცხოვრებამ უკვე გვიკარნახა იმ პირებზე საზოგადოებრივი ზეგავლენის ზოგიერთი ფორმა და საშუალება, რომლებიც არღვევენ კანონებსა და სოციალისტურ მართლწესრიგს.

რესპუბლიკის დიდ საწარმოებში, დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მოწყობილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები.

ნებაყოფლობითს რაზმებს თავიანთ მუშაობაში უკვე აქვთ პირველი დადებითი შედეგები. მიმდინარე წლის ცხრა თვეში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა რიცხვი რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა.

ნებაყოფლობითი რაზმების შტაბების მუშაობა დროზე და კარგად მოაწყეს პარტიის ქუთაისის, რუსთავის, ჭიათურის საქალაქო კომიტეტებმა, პარტიის ქალაქ თბილისის 26 კომისრის და სტალინის რაიკომებმა, ზუგდიდის, სამტრედიისა და ქარელის რაიკომებმა. სტალინის რაიონის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების მუშაობის გამოცდილება რეკომენდებულია რესპუბლიკის სახალხო რაზმების ყველა შტატისათვის.

მაგრამ ყველაფერი, რაც ამ მიმართულებით გაკეთდა, აღნიშნავს ამხ. მჟავანაძე, უნდა მივიჩნიოთ როგორც იმ დიდი მუშაობის დასაწყისი, რომელიც პარტიულმა ორგანოებმა კიდევ უნდა შეასრულონ.

ნებაყოფლობითი რაზმების ორგანიზაციასა და მუშაობაში სუსტ მონაწილეობას იღებენ კომკავშირელები. მათ საკმაო ქმედით დახმარებას არ უწევენ პროკურატურისა და მილიციის ორგანოები. რაზმების შტაბები იშვიათად გადასცემენ ხოლმე საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივებს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა შესახებ მასალებს მათი მუშაობის ადგილის მიხედვით.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს ამხანაგური სასამართლოების საქმიანობაზე. რესპუბლიკის ბევრ საწარმოში, საბჭოთა მეურნეობასა და დაწესებულებაში შექმნილია ამხანაგური სასამართლოები. მაგრამ ისინი ყველგან როდია შექმნილი. ეს მოწმობს, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ არ აფასებს ამხანაგური სასამართლოების განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან როლს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო და პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭო საკმაოდ ვერ ხელმძღვანელობენ ამხანაგური სასამართლოების საქმიანობას.

ამხ. მჟავანაძემ დიდი ყურადღება დაუთმო მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საკითხებს.

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების კანონის განხორციელება ხელს უწყობს იმას, რომ ჩვენს ახალგაზრდობას ჩავუნერგოთ სიყვარული შრომისადმი, კოლექტივიზმი, კომუნისტური მორალის პრინციპები, პატივისცემა სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი.

მომხსენებელი ლაპარაკობს იმაზე, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა გაურბის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, რომ ისინი არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს. ეს დარღვევები განპირობებულია გარკვეული განითარებით ოჯახში, სკოლაში, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების არასაკმაო აღმზრდელობითი მუშაობით.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ყოველი წევრი განმსჭვალოს ნორჩ მოქალაქეთა აღზრდისათვის პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველა მშობელს როდი ესმის, რომ ისინი უწინარეს ყოვლისა საზოგადოების წინაშე აგებენ პასუხს ბავშვების აღზრდისა და მათი ყოფაქცევისათვის.

პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მეტი უნდა იმუშაონ ახალგაზრდობის შრომითი და მორალური აღზრდის საკითხებზე.

ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არსებობს მეტად მცდარი, საქმისათვის საზიანო აზრი, რომ პასუხისმგებლობა კანონიერების მდგომარეობისათვის და წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის ეკისრებათ მხოლოდ პროკურატურას, სასამართლოსა და მილიციას. არავინ არ ხსნის პასუხისმგებლობას ამ ორგანოებს. მაგრამ ცუდი იქნება პარტიული ორგანიზაციის ის ხელმძღვანელი, რომელმაც დღემდე ვერ შეიგნო, რომ კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის უწინარეს ყოვლისა პასუხს აგებენ პარტიული ორგანოები.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ მუშაობა პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის მუშაკთა აღზრდისათვის, განამტკიცონ ისინი ნიჭიერი, საქმის ერთგული კადრებით, აგრეთვე გააძლიერონ პარტიული კონტროლი მათი საქმიანობისადმი.

პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სამეურნეო ორგანოებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება ადამიანისადმი. საჭიროა უფრო გულისხმიერად მოვეკიდოთ ადამიანებს, მათს განწყობილებებს, გამოვიჩინოთ მათდამი მეტი ნდობა და უნარიანად ჩავუნერგოთ მოქალაქის კეთილშობილური თვისებანი. არ უნდა მივატოვოთ ადამიანი, რომელმაც შემთხვევით წაიბორძიკა, მას დროზე უნდა მივეშველოთ, დავაჯეროთ რომ უნარი შესწევს დაადგეს სწორ გზას.

ამას წინათ გამოქვეყნდა პროექტი კანონისა „საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების შესახებ“. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა ერთსულოვნად მოიწონეს კანონის პროექტი და მიაჩნიათ იგი სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებად, ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ახალ გამოვლინებად.

ამხ. მჟავანაძე ხაზს უსვამს რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დიდმნიშვნელოვან როლს მშრომელთა გონივრული და სასარგებლო დასვენების ორგანიზაციაში, კომუნისტურ აღზრდაში. უნდა გაძლიერდეს ზრუნვა მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მშრომელთა აღზრდის, მათი კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების საკითხებს.

პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა იცოდნენ, როგორ ისვენებენ მშრომელები, მონაწილეობა უნდა მიიღონ მათი დასვენების სწორ ორგანიზაციაში, მოვალენი არიან მუდმივი კონტროლი გაუწიონ კლუბების, კულტურის სახლების, თეატრების, სასპორტო მოედნების საქმიანობას. საჭიროა ისე მოეწყოს კულტურულ-მასობრივი მუშაობა, რომ იგი მოიცავდეს მოსახლეობის ყველა ფენას და შეესაბამებოდეს ყველა კატეგორიის ადამიანთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის მოთხოვნილებებს.

უნდა ვუსაყვედუროთ, ამბობს მომხსენებელი, ჩვენს მწერლებს, ხელოვნების, კინემატოგრაფიის მუშაკებს, რომლებსაც თითქმის არ შეუქმნიათ ნაწარმოებები საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის თემებზე და თავიანთ ნაწარმოებებში სუსტად გვიჩვენებენ კოლექტივის როლს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში.

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ პრესამ, ჟურნალისტებმა — საზოგადოებრივი აზრის ნამდვილმა ორგანიზატორებმა.

ის, რომ ჩვენ საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით, ამბობს დასასრულ ამხ. მჟავანაძე, უნდა მოვახმაროთ ძალები და ყურადღება იმას, რომ დახმარება გავუწიოთ არასწორ გზაზე დამდგარ ადამიანებს, მივაღწიოთ, რომ ისინი კვლავ გახდნენ ჩვენი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, სრულებითაც არ გამორიცხავს იმის საჭიროებას, რომ სასტიკად დაისაჯონ ადამიანები, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებისათვის საშიში დანაშაული.

ამხ. მჟავანაძე გამოთქვამს რწმენას, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებზე აღზრდილნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით მკვეთრად შეამცირებენ, ხოლო შემდეგ აღმოფხვრიან სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევებს ჩვენს რესპუბლიკაში.

მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

გამოსვლებში წითელ ზოლად გასდევდა ერთი აზრი: უფრო სწრაფად რომ მივუახლოვდეთ დიად მიზანს — კომუნიზმს, საჭიროა ახლავე აღვზარდოთ მომავლის ადამიანი, განვუვითაროთ საუკეთესო თვისებები საბჭოთა ადამიანებს. აი ამიტომ მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში კიდევ უფრო მაღლდება ფართო საზოგადოებრიობის როლი.

თბილისში, თქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. **ს. ჩხარტიშვილმა,** შექმნილია ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები, რომლებშიც გაერთიანებული არიან ფაბრიკების, ქარხნების, მშენებლობების, დაწესებულებების მოწინავე ადამიანები. რაზმელთა უმრავლესობამ სწორად გაიგო თავისი როლი, იყენებს მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომებს, გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს ტროლეიბუსის სამმართველოს, საორთქლმავლო დეპოს, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის, ქარხანა „ელექტროავტომატისა“ და სხვა რაზმებმა. ბევრი რაზმელი გაბედულად აღკვეთს ხულიგნების მოქმედებას.

თბილისში სახალხო რაზმების მუშაობის შედეგად ამ უკანასკნელ ხანს შესამჩნევად შემცირდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა.

ამასთანავე ჩვენ სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს სახალხო რაზმების ხელმძღვანელობაში. ამით აიხსნება ის, რომ რაზმების ნაწილი ცუდად მუშაობს. ასეთია, მაგალითად, № 6 პურის ქარხნის, კავკასიის ტრანსპორტის საპროექტო სახელმწიფო ინსტიტუტის, „ჰიდრომეტხელსაწყოს“, „პლასტმასის“ და მთელი რიგი სხვა ქარხნების რაზმები.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. **მ. ვეფხვაძემ** ილაპარაკა, რომ საჭიროა ფართოდ იქნას გამოყენებული ზემოქმედების აღმზრდელობითი ღონისძიებანი იმ პირების მიმართ, რომლებმაც დაუშვეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები. უმნიშვნელო დარღვევა. საჭიროა გაცხოველდეს და გაძლიერდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სასამართლო ორგანოების კავშირი, რათა ერთობლივი ღონისძიებებით მიაღწიონ იმას, რომ მკვეთრად შემცირდეს, ხოლო შემდეგ სულ აღმოიფხვრას დანაშაული და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა.

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ წინათ ძირითადად იბრძოდნენ მილიცია, პროკურატურა, სასამართლო. ახლა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში აქტიურად მონაწილეობენ მშრომელები. ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, რადგან ახლა მთელი რიგი ფუნქციები, რომლებსაც სახელმწიფო ორგანოები ასრულებენ, თანდათანობით გადადის საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში. ამაზე ილაპარაკეს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **დ. მამულაძემ,** საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. კვარაცხელიამ,** საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ნ. ებრალიძემ.** მათ დააყენეს აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების საკითხი. ამოცანა ის არის, რომ დროზე შევაჩეროთ არასწორ გზაზე შემდგარი ადამიანი, არ დავიშუროთ დრო, ძალა და ენერგია, რათა გამოვასწოროთ იგი, დავუბრუნოთ კოლექტივს, გავხადოთ სასარგებლო ჩვენი საზოგადოებისათვის. ასე მოიქცა, მაგალითად, ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი, როცა მან იკისრა აღზრდა ერთი ახალგაზრდა სპეციალისტისა, რომელმაც საძრახისი საქციელი ჩაიდინა. ახლა იგი ერთ-ერთი სამაგალითო მუშაკია.

საბჭოთა ხელისუფლების შესანიშნავი მიღწევაა ახალი ადამიანები, ქალაქისა და სოფლის მილიონობით მშრომელი, რომელნიც კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის უსაზღვროდ ერთგული არიან, ახალგაზრდობა, რომელიც გვიჩვენებს შრომისმოყვარეობის, თავისი მოვალეობის მაღალი შეგნების ნიმუშებს, მზად არის შეასრულოს და კიდევაც ასრულებს სამშობლოს ყოველ დავალებას. მაგრამ ჯერ კიდევ არიან სხვადასხვა ელემენტები, ლოთები, ადამიანები, რომლებიც უღირს ცხოვრებას ეწევიან. იმას, ვისაც არა სურს გამოსწორდეს, ვინც უარყოფს დასახმარებლად გაწვდილ ხელს, არა აქვს ადგილი პატიოსან საბჭოთა ადამიანებს შორის. გამოუსწორებელი ადამიანები, რომლებმაც სერიოზული დანაშაული ჩაიდინეს, კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ. ამაზე შეჩერდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ა. ინაური,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ე. შევარდნაძე,** საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ამხ. **ი. ღარიბაშვილი.** მათ აღნიშნეს, რომ ზოგიერთი ანტისაზოგადოებრივი ქცევა სკოლის, ოჯახის, კომკავშირული ორგანიზაციების სუსტი გავლენის შედეგია.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ფართო საზოგადოებრიობა რომ ებმება, აღნიშნა თავის სიტყვაში საქართველოს სსრ პროკურორმა ამხ. **მ. თოფურიძემ,** ეს ნიშნავს ანტისაზოგადოებრივ ელემენტებთან ბრძოლის არა შენელებას, არამედ გაძლიერებას. ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში ახორციელებენ გამაფრთხილებელ ღონისძიებებს, ზრდიან ადამიანებს, რომლებმაც შემთხვევით წაიბორძიკეს. გამოუსწორებელი ბოროტმოქმედნი კი, რომლებსაც არა სურთ მონაწილეობა შრომითს ცხოვრებაში, უმკაცრესად უნდა დაისაჯონ და კიდევაც დაისჯებიან. ამ უკანასკნელ ხანს საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივები უფრო ხშირად უდგებიან თავდებად ადამიანებს, რომელთაც უმნიშვნელო დანაშაული ჩაიდინეს. ეს კარგია. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ცალკეული კოლექტივები აღძრავენ ხოლმე დაუსაბუთებელ შუამდგომლობას, რომ მათ თავდებობით მისცენ ისეთი პირები, რომლებმაც საშიში დანაშაული ჩაიდინეს, ზოგჯერ განმეორებითაც კი. სავსებით სწორად მოიქცა, მაგალითად, ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონის პროკურატურა, რომელმაც არ დააკმაყოფილა მე-4 ავტოსატრანსპორტო კანტორის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მისთვის გამოსასწორებლად და აღსაზრდელად გადაეცათ გამოუსწორებელი ბოროტმოქმედი.

კოლექტივებში იმ პირთა აღზრდასთან ერთად, რომლებმაც უმნიშვნელო დანაშაული ჩაიდინეს, უაღრესად შეურიგებელი ბრძოლა უნდა წარმოებდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც საშიშ დანაშაულს სჩადის.

მშრომელი საბჭოთა კოლექტივი საუკეთესო აღმზრდელია. კოლექტივის გავლენით იქმნება და ვითარდება ახალი საზოგადოების ადამიანის ყველაზე მაღალი ზნეობრივი თვისებები: კომუნიზმისადმი უსაზღვრო ერთგულება, მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნება, საბჭოთა კანონების განუხრელად დაცვა, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების ღრმა პატივისცემა. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამხანაგურ სასამართლოებს. თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ამხანაგურ სასამართლოს მუშაობის პრაქტიკაზე ილაპარაკა მისმა თავმჯდომარემ, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. **დ. ალიბეგაშვილმა.**

ჩვენს საწარმოში, განაცხადა მან, ამხანაგურმა სასამართლომ ამ ბოლო დროს გაარჩია მრავალი საქმე. განხილულ იქნა დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების, ხულიგნური საქციელის, სამუშაოზე დაგვიანების, ლოთობისა და სხვა ამორალური მოქმედების ცალკეული შემთხვევები. საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთ ჩვენ ვუფარდებთ ზემოქმედების სხვადასხვა ღონისძიებას — გაფრთხილებას, კოლექტიურ გაკიცხვას, თანამდებობრივ დაქვეითებას გარკვეული დროით, საჭირო შემთხვევაში საქმეების გასარჩევად გადაცემას სახალხო სასამართლოებისათვის. ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილებებზე ცნობები იბეჭდება კედლის გაზეთებში, ქვეყნდება საფაბრიკო რადიოთი. მაგალითად, ამხანაგურმა სასამართლომ გაარჩია ერთი მუშა ქალის საქციელი, რომელმაც თავისი დაუდევრობით დააზიანა 17 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი. სასამართლოს რეკომენდაციით ფაბრიკის დირექციამ იგი გადაიყვანა სხვა, უფრო ნაკლებ პასუხსაგებ სამუშაოზე.

საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის გაძლიერების შესახებ კანონის პროექტს, აგრეთვე სანიმუშო დებულებას ამხანაგური სასამართლოების შესახებ, რომლებიც შეიმუშავეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებმა,—თქვა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ვ. გაზაევმა,** — დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სამხრეთ ოსეთის მშრომელნი. ისინი ხელს უწყობენ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების, ამხანაგური სასამართლოებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანოების სამართლებრივ შემდგომ განვითარებას. მათი საქმიანობის გაძლიერებამ შეამცირა საზოგადოებრივი მართლწესრიგის დარღვევის შემთხვევები.

დიდ ამოცანებს, რომლებიც დგას განათლების ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში, მიუძღვნა თავისი სიტყვა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა **ი. ბუაჩიძემ.** ჩვენი ხალხი, თქვა მან, სამართლიანად ამაყობს თავისი შრომისმოყვარე შვილებით, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი ყველა ამოცანის გადაჭრაში, მზად არიან პირველი მოწოდებისთანავე შეასრულონ პარტიისა და მთავრობის ყოველი დავალება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ახალგაზრდობაში, კერძოდ, სტუდენტობაში, არის სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევის ცალკეული შემთხვევები. დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, ამხანაგური სასამართლოები სტუდენტი ახალგაზრდობის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის არც ერთ შემთხვევას არ ტოვებენ უყურადღებოდ. ისინი ყურადღებით სწავლობენ მათ, იღებენ საჭირო აღმზრდელობითს ღონისძიებებს. ამის შედეგად ამგვარი შემთხვევების რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. **ნ. სავინკინმა.** კამათში მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორმა ამხ. **ბ. ცალაგოვმა.**

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

განხილულ საკითხზე მიღებულ იქნა რეზოლუცია.

* * *

პარტიული აქტივის კრებამ ჩაიარა მაღალ იდეურ დონეზე, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით. მან ცხადყო, რომ ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, არ დაიშურებენ ძალღონესა და ენერგიას, რათა წარმატებით განახორციელონ პარტიის მითითებანი იმის შესახებ, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი აღვზარდოთ კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით. (საქდესი).

თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვების“ მოწინავე ამწყობი ზეინკლები (მარცხნიდან): ნათელა კალანდაძე, ზურაბ ლომსაძე, ციალა ლალიაშვილი, რომლებიც საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული, ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 150-170 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

პარტიულ კონფერენციებზე

ფაქტების რეგისტრატორის როლში...

მეშახტეთა კულტურის სახლის ფოიე... ტყვარჩელის XIII საქალაქო პარტიული კონფერენციის დაწყებამდე დელეგატები გაცხოველებით საუბრობენ, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ აზრს.

— ენერგეტიკოსები და მშენებლები, — ამბობენ ისინი, — თავს ართმევენ საგებგმო დავალებებს, მაგრამ საყვედურით იხსენიებენ მეშახტეებს, რომლებიც ვერ ასრულებენ საწარმოო გეგმებს. მათ წლის დასაწყისიდან სახელმწიფოს დააკლეს რამდენიმე ათეული ათასი ტონა ქვანახშირი.

— შახტების მუშაობას, — ჩაერია საუბარში № 2 შახტის უფროსი, გაგანოველი თამარ ჯაფარიძე, — არც შახტებისა და არც ტრესტის ხელმძღვანელი მუშაკები არ უწევენ კონკრეტულ ხელმძღვანელობას. მეშახტეთა შრომის კარგი ორგანიზაციის შედეგად ყველა შახტს შეეძლო გეგმის შესრულება.

რა არის ტრესტის შახტების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის მიზეზები?

ეს საკითხი იყო დელეგატების ყურადღების ცენტრში. ისინი მოელოდნენ, რომ ტრესტის უხეირო მუშაობის მიზეზები ნათლად იქნებოდა ასახული პარტიის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე როდი მოხდა.

არათვითკრიტიკულ საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც კონფერენციაზე პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. კემულარიამ გააკეთა, მწვავედ და მთელი პრინციპულობით არ იყო განხილული საჭირბოროტო საკითხები. ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ მოხსენებამ დელეგატები ვერ დააკმაყოფილა.

საანგარიშო მოხსენება შაბლონურად იყო შედგენილი. დელეგატებს ხშირად ესმოდათ ერთი და იგივე ფრაზა: „აღნიშნულ ორგანიზაციებს ძიღწევებთან ერთად აქვთ ნაკლოვანი მხარეებიც"... მთელი საანგარიშო მოხსენება გადატვირთული იყო ამა თუ იმ საწარმოთა მიერ გეგმების შესრულებაზე სტატისტიკური მონაცემებით, მაგრამ, სამაგიეროდ, არ იყო ამ საწარმოთა მუშაობის ღრმა ანალიზი, დასკვნები, მოურიდებელი კრიტიკა და თვითკრიტიკა.

მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ ტყვარჩელის თბილ ელექტროსადგურის ტურბინების დარბაზის ცნობილი მემანქანის ამხ. ი. დელბას სიტყვა. აი რა თქვა მან:

— მოხსენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ ტყვარჩელის საწარმოებში ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ამ აზრს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით. მუშაობაში გარღვევები და შეცდომები არ გვექნებოდა, რომ ჩვენთან ხშირად მოდაოდნენ პარტიის ტყვარჩელის საქალაქო და აფხაზეთის საოლქო კომიტეტების მდივნები და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

კონფერენციაზე სიტყვით გამოსული ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მმართველი ამხ. ა. ვარდაშვილი, ნაცვლად იმისა, რომ გულახდილად ეღიარებინა შახტების გაუმართავი მუშაობა და მისი გამომწვევი მიზეზები, შეეცადა მთელი დანაშაული გადაებრალებინა თბოელექტროსადგურის ხელმძღვანელობისათვის, რომელიც თითქოს ყარს ამბობს ტრესტისგან სამრეწველო პროდუქციის მიღებაზე. სინამდვილეში თბოელექტროსადგური იძულებულია ტრესტის ცუდი მუშაობის შედეგად სათბობი დამატებით შემოზიდოს დონბასიდან.

კონფერენციის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ შახტებში უზრუნველყოფილი არ არის სამთო სამუშაოებისადმი კვალიფიციური ხელმძღვანელობა, რის გამოც მკვეთრად შემცირდა მოქმედი ლავების რაოდენობა. მარტო მოცდენების, სამთო მექანიზმების ავარიებისა და სხვა უწესივრობის შედეგად შახტებმა სამშობლოს მრავალი ათასი ტონა სათბობი დააკლეს.

შახტების ჩამორჩენის მთავარი მიზეზია ტრესტისა და პარტიის საქალაქო კომიტეტის მიერ სამრეწველო საწარმოებისადმი ზერელე ხელმძღვანელობა, კადრებისადმი მომთხოვნლობის შესუსტება და ადგილებზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის უგულებელყოფა.

— პარტიის საქალაქო კომიტეტის საქმიანობა, — თქვა თავის სიტყვაში თბოელექტროსადგურის პარტბიუროს მდივანმა ამხ. შ. ჯინჯოლიამ, — ვერ უპასუხებს დღევანდელი დღის მოთხოვნებს. პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნებმა, ბიუროს წევრებმა შეასუსტეს მომთხოვნელობა სამეურნეო ხელმძღვანელობისადმი. ქალაქკომი არ უწევდა კონტროლს თავის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობას, რის გამო ბევრ დადგენილებას არ განმტკიცებდნენ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობით და ისინი ქაღალდზე რჩებოდა. პარტიის საქალაქო კომიტეტს ადგილებზე კარგი დასაყრდენი ჰყავს. თითქმის ყველგან შექმნილია და მუშაობენ პარტიული კონტროლის კომისიები, მაგრამ, სამწუხაროდ, ცალკეული კომისიების დადებითი გამოცდილების განზოგადებისათვის არ უზრუნიათ პარტიის საქალაქო და აფხაზეთის საოლქო კომიტეტებს.

„ქვანახშირისათვის ბრძოლა სასადაღოდან იწყება". — ამბობენ მეშახტეები. ეს სრული სიმართლეა. მეშახტეთა საჭიროებებზე ზრუნვას ყოველდღიური ყურადღება უნდა ექცეოდეს. მაგრამ ამით ვერ დაიკვეხნიან პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტი და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

პარტიის საქალაქო კომიტეტი და საქალაქო საბჭოს აღმასკომი, — თქვა თავის სიტყვაში № 6 შახტის გამყვანმა ი. ბიკოვმა, — იღებდნენ მთელ რიგ გადაწყვეტილებებს მეშახტეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, მაგრამ № 5 და № 6 შახტების ტერიტორიაზე მცხოვრებ მეშახტეთა მოთხოვნებსა და საჭიროებებს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. შახტებთან მისასვლელი გზები თავმინებებულია, ცუდად გვამარაგებენ ბოსტნეულითა და კვების სხვა პროდუქტებით.

დელეგატები ვერ დააკმაყოფილა ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ტყვარჩელის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის ლ. ქვარანძიას გამოსვლამ. მან არაფერი თქვა იმაზე, თუ როგორ ზრუნავენ მეშახტეთა შორის შრომის დისციპლინის ამაღლებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის პროფკავშირის რაიკომი, ძირეული პროფკავშირული ორგანიზაციები. თავის სიტყვაში მან გვერდი აუარა აგრეთვე სოციალისტური შეჯიბრების საკითხებს, არაფერი უთქვამს, იმაზე, თუ როგორ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს ცალკეულ საწარმოთა კოლექტივები.

ბევრი მომდევარი გამოუჩნდა ვალენტინა გაგანოვას პატრიოტულ თაოსნობას ტყვარჩელში. მაგრამ პარტიის საქალაქო კომიტეტს და პროფკავშირის რაიონულ კომიტეტს, სამწუხაროდ, არ უფიქრიათ პირველი ტყვარჩელელი გოგანოველების გამოცდილების შესწავლასა და გავრცელებაზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმებზე სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტი კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების გამო. მაგრამ იმაზე, თუ რა დასკვნები გამოიტანა პარტიის საქალაქო კომიტეტმა ამ კრიტიკიდან, კონფერენციაზე ბევრი არაფერი თქმულა. და ეს მაშინ, როცა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში აქ დღემდე სერიოზული ნაკლოვანებებია.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. მ. ბღაჟბა.

კონფერენციამ დასახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

* * *

შედგა ახლად არჩეული საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ი. ჭანბა, მეორე მდივნად — ამხ. ვ. ნასედკინა, მდივნად — ამხ. ი. ლეკვეიშვილი.

ი. ბოგბეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ქართველ ფეიქართა ნახელავი თვალში მოსდის მომხმარებელს.

საუბარი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო მრეწველობის სამმართველოს უფროსთან ამხ. მ. ჩხეიძესთან

ნატიფად ნაქსოვი, ლამაზად მოჩითული ქსოვილები საერთო მოწონებას იმსახურებს. ახლა ჩვენი რესპუბლიკის ფეიქრები ბევრ და კარგ ქსოვილს ამზადებენ, რაციონალურად იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, ნედლეულს, გადაჭარბებით ასრულებენ პროდუქციის გამოშვების გეგმებს, აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს და აფართოებენ ასორტიმენტს.

მაგრამ ეს თვითდამშვიდების უფლებას არ გვაძლევს ჩვენი რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის მიღწევები მკრთალად გამოიყურება საერთო წარმატების ფონზე.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის. ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება საფეიქრო მრეწველობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ.

ეს პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს ჩვენი რესპუბლიკის საფეიქრო საწარმოთა კოლექტივების წინაშე. საქმეს წარმატებით გავართმევთ თავს, თუ უფრო ორგანიზებულად მოვაწყობთ მუშაობას, რაციონალურად გამოვიყენებთ სახსრებს ახალი საფეიქრო ობიექტების მშენებლობისათვის, არსებული საწარმოების რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის, თუ უფრო მეტად ვიზრუნებთ თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობით საფეიქრო მრეწველობის საწარმოების აღჭურვისათვის, შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და წარმოების ავტომატიზაციისათვის.

შვიდწლედში ჩვენი რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობა მძლავრად განვითარდება. მწყობრში ჩადგება ახალი საწარმოები, გაუმჯობესდება ტექნიკური აღჭურვილობა. თბილისში შენდება აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, რომელიც მომავალ წელს თავის პირველ პროდუქციას მიაწვდის მომხმარებელს. ავტომატური საქსოვი მანქანებით აღჭურვილი ეს საწარმო წელიწადში დაახლოებით 2 მილიონ მეტრ აბრეშუმის ქსოვილს დაამზადებს. მნიშვნელოვნად გაიზრდება შალეულის გამოშვება. თბილისში საექსპლოატაციოდ გადაეცემა კამვოლური ფაბრიკა, რომელიც წლიურად 2 მილიონ მეტრ შალის საკოსტიუმე და საკაბე ქსოვილებს გამოუშვებს.

დიდი სამუშაოები შესრულდება თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო, მაუდ-კამვოლის და გოორის ბამბეულის კომბინატების რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის. სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოტონის წარმოება გადავა კოტონის წინდის ფაბრიკის ახალ კორპუსში. განთავისუფლებულ ფართობზე დაიდგმება 15-20 ათასი თითისტარი. ამ ღონისძიების განხორციელებით საწარმოს კოლექტივი დამატებით 700 ტონამდე ნართს მიიღებს. აქვე ამუშავდება ტრიკოტაჟის ახალი ფაბრიკა, რომელიც წელიწადში ხუთ მილიონ ცალ სასაცვლე ტრიკოტაჟს მოქსოვს. საფეიქრო საწარმოები აღიჭურვება სამამულო წარმოების მაღალი წარმადობის ნახევრადავტომატური და ავტომატური სართავი, საქსოვი მანქანებით. განხორციელდება მოქმედი მოწყობილობის კომპლექსური მოდერნიზაცია, დაინერგება პროგრესული ტექნოლოგია.

მომხმარებელთა მოწონებით სარგებლობს ცნაკაიას ფაბრიკაში მოქსოვილი ხალიჩები. მაგრამ ამ პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნილება ბევრად ჭარბობს წარმოების დონეს. ეს მდგომარეობა გამოსწორდება. არსებული ფაბრიკის ბაზაზე შეიქმნება მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი ძლავრი საწარმო, რომელიც წლიურად ნახევარ მილიონ მეტრ ხალიჩას მოქსოვს. რეკონსტრუირებულ იქნება თელავის, სამტრედიის, მახარაძის, წულუკიძის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკები, თელავსა და სამტრედიაში შეუდგებიან ქსოვილების გამოშვებას.

საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის წარმოების გადიდება საქმის ერთი მხარეა. არანაკლებ მნიშვნელოვანია განუხრელად ვაფართოებდეთ პროდუქციის ასორტიმენტს, მოსახლეობას ვაწვდიდეთ მაღალი ხარისხის, ლამაზი შესახედაობის ქსოვილებს. ამის საშუალება გვაქვს. ჩვენ, საფეიქრო მრეწველობის მუშაკები, მოვალენი ვართ ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ მომხმარებელს ხიბლავდეს ჩვენს საწარმოებში ნატიფად ნაქსოვი, ლამაზად მოჩითული ქსოვილები.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲕᲘᲙᲐᲠᲜᲐᲮᲔᲑᲡ



მესამე წელია, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 12-წლიანი პროფტექნიკური სასწავლებლები შეიქმნა. ისინი მიზნად ისახავენ მოამზადონ საშუალო განათლების მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. ჩვენს რესპუბლიკაში ამ ტიპის მხოლოდ ერთი სასწავლებელია დაბა სურამში.

სურამის თორმეტწლიანი პროფტექნიკური სასწავლებელი პროფესიულ ტექნიკური განათლების სისტემაში შემავალი სკოლა-ინტერნატის ტიპის ახალი სასწავლებელია. იგი შეიქმნა 1957 წელს. ამ სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზრდობა საშუალო განათლებასთან ერთად ეუფლება ერთ-ერთ ისეთ პროფესიას, როგორიც არის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციის ელექტრომექანიკოსი, სამრეწველო მოწყობილობათა შემკეთებელი ზეინკალი, დურგალ-მეავეჯე და სხვ.

ახალი ტიპის სასწავლებლის დაარსებამ ახლებურად მუშაობა მოითხოვა. უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო საცხოვრებელი და სასწავლო შენობების შეკეთება, სახელოსნოების მოწყობა, სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნა. სასწავლებლის კოლექტივმა ზემდგომი ორგანოების დახმარებით წარმატებით მოაგვარა ეს საკითხები. აქამდე სასწავლებელს აქვს კეთილმოწყობილი სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსები, სასწავლო სახელოსნოები. მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა კიდევ ერთი ახალი საცხოვრებელი კორპუსი 100 მოსწავლისათვის.

მიმდინარე სასწავლო წელს სასწავლებელი მომზადებული შეხვდა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მოსწავლეთა კონტინგენტის სწორად შერჩევას. გავითვალისწინეთ გასულ წლებში ამ მხრივ დაშვებული შეცდომა და საქმე ისე მოვაწყეთ, რომ აქამდე თვითეულ კლასში თითქმის ერთი და იგივე ასაკის ბავშვები სწავლობენ.

აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების გზით მივაღწიეთ იმას, რომ შეეჩვეთნი მოსწავლეთა ერთსულოვანი, მეგობრული კოლექტივი. ახლა მოსწავლეები თვითონ იჩენენ დაინტერესებას თვითეული ბავშვის საქციელზე. ამის შედეგად სასწავლებელში თითქმის სავსებით აღმოიფხვრა დისციპლინის დარღვევის ფაქტები. შეუდარებლად ამაღლდა მოსწავლეთა აკადემიური წარმატებაც. განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლებია საწარმოო სწავლებაში, რაც მე-8 კლასიდან იწყება. იგი ყველა მოსწავლეთა საყვარელ საგნად გადაიქცა და აკადემიური წარმატება ამ საგნებში 100-პროცენტიანია. საწარმოო სწავლების გაკვეთილებზე მოსწავლეები ამზადებენ საუკეთესო ხარისხის სადურგლო დაზგებს, მერხებს, სხვადასხვა ფორმის მაგიდებსა და სკამებს, კარადებს, დფეებს, ჩაქუჩებს, ბრტყელტიჩებს, თუნუქის საპრელ მაკრატლებს, ხელის გირაგებს, ღოჯებს და სხვ.

მე-9 და მე-10 კლასებში მოთავსებული მთელი სასწავლო ინვენტარი თვითონ მოსწავლეების მიერ არის დამზადებული, რაც სიამაყის გრძნობას იწვევს მათში. ამ ინვენტარს ისინი განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიან და უფრთხილდებიან.

მეცადინეობასთან ერთად მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. მაღი ძალებით ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება ხორციელდება სასწავლებელში. მარტო წელს საწარმოო სწავლების ოსტატების და აღმზრდელების ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა ააშენეს ორი ფარდული საწყობისა და ავტომანქანისათვის, კინოაპარატის სათავსო, სამრეცხაო, არსებულ საგარდერობეს მიუმატეს ახალი განყოფილებები 100 ადგილით. მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ახალი საერთო საცხოვრებლის მშენებლობაში, მოაწყეს კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები, დარგეს რამდენიმე ასეული ძირი ხე, გააკეთეს ტიხრები სახელოსნოებში, ჩაწყეს კანალიზაციის მილები 100 მეტრზე, მიმდინარე რემონტი გაუკეთეს სასწავლებლის მთელ ინვენტარს, რომელსაც ეს ესაჭიროებოდა, მთლიანად შეღებეს სასწავლო კორპუსის იატაკები, დაამზადეს სხვადასხვა სახის სასწავლო თვალსაჩინოებანი და სხვ. აღარ ვლაპარაკობთ ისეთ სამუშაოებზე, როგორიც არის ნახშირის, შეშის, მზესლების გადაზიდვა, გადმოტვირთვა და სხვ. რასაც როგორც წესი, მოსწავლეები ასრულებენ. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით სასწავლებლის აღსაზრდელებმა წელს კომკავშირულ ყულაბაში 60 ათას მანეთზე მეტი შეიტანეს.

მოსწავლეები მთლიანად გადასული არიან თვითმმართველობაზე. უკვე დიდი ხანია საკლასო და საცხოვრებელ ოთახებში, სამკითხველოში, სასადილოში და სხვაგან დამლაგებლები აღარ მუშაობენ, მაგრამ ბავშვები სანიმუშოდ იცავენ სისუფთავეს, კოხტად ალაგებენ ლოგინებს და ინვენტარს.

სასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივი და მოსწავლეები დიდი ინტერესით გაეცნენ ქუთაისის № 4 სახელოსნო სასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივის და მოსწავლეთა ინიციატივას — სასწავლებლის თვითანაზღაურებაზე გადაყვანას. მართალია, ჩვენი სასწავლებლის ყველა კლასის გადაყვანა თვითანაზღაურებაზე არ შეიძლება, რადგან უმცროსი კლასების მოსწავლეები საწარმოო სწავლას არ გადიან და ამრიგად პროდუქციასაც არ ქმნიან, გარდა ამისა, ყველა კლასის მოსწავლეები დატვირთული არიან თეორიული სწავლებით, მაგრამ ჩვენ გადავწყვეტეთ ჯერ ნაწილობრივ, ხოლო შემდეგ მთლიანად თვითანაზღაურებაზე გადავყვანოთ მე-10 და განსაკუთრებით მე-11, მე-12 კლასები.

დიდი ყურადღება ექცევა სასწავლებელში დღის რეჟიმის მტკიცედ დაცვას, მორიგე მოსწავლეთა მიერ თავიანთი მოვალეობის კარგად შესრულებას, რადგან მხოლოდ ამ პირობების დაცვით შეიძლება სწორად მოეწყოს მოსწავლეთა სწავლა, შრომა და დასვენება.

კულტმასობრივი და სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება პედაგოგიური კოლექტივის მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია. სასწავლებელში მუშაობენ სიმღერის, ცეკვის, დრამატული, მუსიკის შემსწავლელი, ნორჩ მხატვართა და სხვა წრეები, აგრეთვე სპორტის 15 სახის ფიზკულტურული სექციები.

სასწავლებლის მთელი პედაგოგიური კოლექტივი გამსჭვალულია იმ ღრმა რწმენითა და მისწრაფებით, რომ მომავალში კიდევ უკეთ მოაწყოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, რათა მივცეთ დედა სამშობლოს მაღალკვალიფიციური, გონებრივად და ფიზიკურად კარგად გამოწრთობილი ახალგაზრდა კადრები.

Ა. ᲒᲣᲯᲔᲯᲘᲐᲜᲘ,
სურამის პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

* * *

სურათზე (მარცხნიდან): მოსწავლეები შალვა კაკალაშვილი, ავთანდილ გორელიშვილი, თამარ ქვლივიძე სადურგლო სახელოსნოში მუშაობის დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲐᲥ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ვაკე-საბურთალოს მაგისტრალის გადაკვეთაზე, მოედანზე კომინტერნის ქუჩასთან აიგება პანორამული ფართოეკრანიანი კინოთეატრი 2.500 მაყურებლისათვის. ეს ერთ-ერთი დიდი და საუკეთესო ნაგებობა იქნება ჩვენს რესპუბლიკაში.

ამ გრანდიოზული შენობის პროექტის ავტორები არიან ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის" არქიტექტორები ვ. მესხიშვილი და ს. მეგრელიშვილი. ავტორებმა ეკრანის სიგანე 30 მეტრი გაითვალისწინეს. მის მოსაწყობად გამოყენებული იქნება ყველა სიახლე.

კინოთეატრის შენობას ექნება უაღრესად კეთილმოწყობილი ვესტიბიული ორი მხრიდან შესასვლელით. ვესტიბიულის გადახურვა ახლებურად არის გადაწყვეტილი. მისი მეორე სართული იქნება დიდი საზაფხულო ღია ფოიე და ვესტიბიულს მხატვრული კიბეებით დაუკავშირდება.

მშენებლობა ნავარაუდევია დაიწყოს მომავალი წლიდან და დამთავრდება 1962 წელს. შენობა 8 მილიონი მანეთი დაჯდება.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

14 დეკემბერს სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ა. მ. ტიმოშენკო ეწვია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს და შემდეგი განცხადება გააკეთა საბჭოთა მთავრობის დავალებით.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი დროის ფაქტები მოწმობენ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა თავის მონაწილეობას დასავლეთ ევროპის კავშირსა და ნატოში იყენებს, რათა განუწყვეტლივ ზარდოს შეიარაღება. ფედერალური მთავრობა, ნათქვამია განცხადებაში, ყოველ საშუალებას მიმართავს, რათა ზედიზედ მოსპოს ის რამდენიმე შეზღუდვაც კი, რომლებიც თავდაპირველად გათვალისწინებული იყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის მიმართ პარიზის შეთანხმებებით.

საბჭოთა მთავრობა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ეს მოქმედება არამც და არამც არ შეესაბამება მის საკუთარ განცხადებებს იმის შესახებ, რომ იგი საყოველთაო განიარაღებას მოითხოვს.

სსრ კავშირის მთავრობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ყურადღებას მიაპყრობს იმ პასუხისმგებლობას, რომელსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა კისრულობს თავისი საკუთარი ხალხისა და სხვა ქვეყნების ხალხთა წინაშე, როცა ცდილობს გააძლიეროს გამალებული შეიარაღება და ხელი შეუშალოს გერმანიის მილიტარიზმით გამოწვეული ომის ნაშთების ლიკვიდაციას.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკა, აღნიშნულია განცხადებაში, არ იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ მას ნამდვილად სურს, რათა უმაღლესი დონის მომავალ თათბირზე მიაღწიონ ომისშემდგომი პრობლემების მშვიდობიან მოწესრიგებას. ასე რომ არა, იგი თავს შეიკავებდა ყოველგვარი ნაბიჯისაგან, რომელიც წარმოშობს ან შეიძლება წარმოშვას შეთანხმების ხელისშემშლელი ახალი სიძნელეები.

საბჭოთა ელჩებმა დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, იტალიაში, ბელგიაში, ნიდერლანდებში და სსრ კავშირის დესპანმა ლუქსემბურგში აგრეთვე შესაბამისი წარდგენებნი გაუკეთეს ამ ქვეყნების მთავრობებს და მათი ყურადღება მიაპყრეს იმ უარყოფითს შედეგებს, რომლებიც მოჰყვება დასავლეთ ევროპის კავშირის ფარგლებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღების დაჩქარებით განხორციელებას საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და „ცივი ომის" ლიკვიდაციისათვის.

ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲯᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

თვალსაჩინო მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, თბილისის საწარმოთა მუშები, პარტიული და საზოგადო მოღვაწეები შეიკრიბნენ 14 დეკემბერს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში. აქ გაიმართა კრება, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების დაარსებას.

კრება გახსნა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ **ვ. ჭოჩორაძემ.**

შემდეგ საინიციატივო ჯგუფის დავალებით მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **გ. ახვლედიანმა.** მან ილაპარაკა საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა დღითიდღე მზარდ პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობაზე, ბულგარელი და ქართველი ხალხების უძველეს კულტურულ ურთიერთობაზე.

კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს მეცნარეული ცხიმისა და ეთეროვანი ზეთის ტრესტის მმართველი ვ. ცხოვრებაშვილი, პოეტი ოსიპ ნონეშვილი, თბილისის საქსოვ-სატრიკოტაჟო კომბინატის მთავარი ინჟინერი ი. შჩერბაკოვი და სხვები.

კრებაზე გამოაქვეყნეს ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის უხუცესი მოღვაწის ც. დრაგოიჩევას და საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების მთავარი გამგეობის თავმჯდომარის, სსრ კავშირის გენერალური ავიაკონსტრუქტორის, აკადემიკოს ა. ნ. ტუპოლევის მისასალმებელი დეპეშები. კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს საპასუხო მისალმებანი.

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის სხდომაზე მის თავმჯდომარედ აირჩიეს აკადემიკოსი გ. ახვლედიანი, თავმჯდომარის მოადგილედად — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ლ. ყანჩაველი და პროფესორი გ. თავზიშვილი. (საქდესი).

„ᲑᲝᲚᲝ ᲒᲐᲩᲔᲠᲔᲑᲐ" ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

ᲔᲠᲘᲮ ᲛᲐᲠᲘᲐ ᲠᲔᲛᲐᲠᲙᲘᲡ ᲞᲘᲔᲡᲐ ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

ომის, ძალადობისა და ფაშიზმის სიძულვილით არის გამსჭვალული ერიხ მარია რემარკის მთელი შემოქმედება.

ყველა თავის ნაწარმოებში რემარკი ცდილობს გადაჭრას თანამედროვეობის ურთულესი საკითხები და მათგან ერთ-ერთი მთავარი — საკითხი ცხოვრებაში ადამიანის ადგილის შესახებ. მაგრამ მიუხედავად ძმისე ფიქრებისა, რაც კაპიტალისტური სამყაროს სირთულით არის გამოწვეული, რემარკი მუდამ ზუსტ პასუხს იძლევა კითხვაზე — ომი თუ მშვიდობა? მან კარგად იცის ვისთან არის იგი. რემარკი მუდამ აყო და არის იმათთან, ვინც ომის წინააღმდეგ, მშვიდობის სადარაჯოზე დგას!

რატომ იზიდავს რემარკის ნაწარმოებები მილიონობით მკითხველს საზღვარგარეთიც და ჩვენშიც? ეს მათი ძლიერი, რეალისტური სიმართლეა, მათი ჰუმანიზმი, მათი მტკიცე ანტიმილიტარისტული მიზანდასახულობა. რემარკი მუდამ თავგამოდებით იბრძოდა მშვიდობის არმიის მებრძოლთა პირველ რიგებში. და შემთხვევითი როდია, რომ ჰიტლერელებმა ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება ხელში, მაშინვე დაწვეს რემარკის წიგნები, ხოლო თვითონ მწერალი იძულებული იყო საზღვარგარეთ გადახვწილიყო.

რემარკის რომანებმა „დასავლეთი ფრონტი უცვლელია" (1928), „სამი მეგობარი" (1938), „ტრიუმფალური თაღი" (1945), „ყამი სიცოცხლისა და ყამი სიკვდილისა" (1954), იპოვეს გზა მილიონობით საბჭოთა მკითხველის გულსაკენ.

ამას წინათ თბილისელი მაყურებელი გაეცნო რემარკს—დრამატურგს. მისი პიესა „ბოლო გაჩერება" გრიბოედოვის სახელობის თეატრმა განახორციელა. თემის მხრივ უაღრესად თანამედროვე, მძაფრი, ოსტატურად დაწერილი ეს პიესა, მიუხედავად ურთგვარი „ლიტერატურულობისა", აღელვებს მაყურებელს, უპასუხებს თანამედროვეობის მტკივნეული, საჭირბოროტო საკითხების მთელ წყებაზე.

სპექტაკლის დამდგმელს რეჟისორ თენგიზ კანდინაშვილს თბილისელი მაყურებელი იცნობს როგორც საინტერესო სპექტაკლების ნიჭიერ ავტორს. ა. ჟერის „მეექვსე სართულმა", როზოვის „სიხარულის ძიებაში" — გრიბოედოვის სახელობის თეატრში, კ. ბუაჩიძის „მკაცრმა ქალიშვილებმა" და ა. კასონის „ხეები ზეზეულად კვდებიან" (დადგმულია ვ. ანჯაფარიძესთან ერთად) — მარჯანიშვილის სახელობის თეატრში უთუოდ დაიმსახურეს მაყურებლის სიყვარული. ამ სპექტაკლებში თ. კანდინაშვილმა თავი გამოიჩინა როგორც მკაფიო სცენიური ფორმის მაძიებელმა, ტემპერამენტიანმა რეჟისორმა.

რემარკის პიესა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ე. წ. „დასადგმელ" პიესათა რიცხვს ვერ მიეკუთვნება. აქ რეჟისორს მაინცდამაინც საშუალება არ ჰ

საგარეოპოლიტიკური

ურთიერთგაგების ატმოსფეროში

ნიუ-იორკი, 13 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დილის 4 საათსა და 10 წუთზე ადგილობრივი დროით (12 საათსა და 10 წუთზე მოსკოვის დროით) მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIV სესიამ. სესიის უკანასკნელ დღეს მოეწყო ასამბლეის სამი პლენარული სხდომა და დამთავრდა დღის წესრიგის დარჩენილი პუნქტების განხილვა.

დილის მთელი პლენარული სხდომა და დღის პლენარული სხდომის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა ალჟირის საკითხს, რომელზეც ასამბლეამ ვერ მიიღო რაიმე გადაწყვეტილება.

გენერალურმა ასამბლეამ შემდეგ ერთსულოვნად ძოიწონა რეზოლუცია კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების შესახებ, რომელიც წარადგინა პოლიტიკურმა კომიტეტმა. ეს რეზოლუცია აარსებს კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების კომიტეტს 24 სახელმწიფოს წარმომადგენელთა შემადგენლობით. კომიტეტის ამოცანაა შეისწავლოს პრაქტიკული ღონისძიებანი კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების პროგრამის განსახორციელებლად და ყოველნაირი დახმარება გაუწიოს ეროვნულ მეცნიერულ-კვლევითი პროგრამების განხორციელებას კოსმოსის შესწავლის დარგში.

საღამოს სხდომაზე ასამბლეამ განიხილა მთელი რიგი მოხსენებანი,

ამის შემდეგ ასამბლეა შეუდგა უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრისა და მეურვეობის საბჭოს ორი წევრის არჩევას.

გენერალური ასამბლეის წინა სხდომებზე მოეწყო პოლონეთისა და თურქეთის კანდიდატურების არჩევნები უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრთა ერთ-ერთ ადგილზე. როგორც ცნობილია, პოლონეთის კანდიდატურა ურთიერთთანხმობით დასახელეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ამ ადგილზე, რომელიც სამართლიანად ეკუთვნის მსოფლიოს ამ რაიონს. ამავე დროს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, პოლონეთის არჩევა რომ არ დაეშვათ, დასახელეს თურქეთის კანდიდატურა. სულ მოეწყო კენჭისყრის 51 ტური, ამასთან 42 ტურში პოლონეთმა მეტი ხმა მიიღო, ვიდრე თურქეთმა.

შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით დელეგაციების შორის გაიმართა მოლაპარაკება, რის შედეგადაც მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვით პოლონეთი რჩება უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრის ადგილის ერთადერთი კანდიდატი. თუ აირჩიეს, პოლონეთი ამ ადგილზე იქნება 1960 წლის განმავლობაში, ხოლო XV სესიაზე შემდეგი წლისათვის თურქეთს აირჩევენ.

ამასთან დაკავშირებით გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ვ. ვ. კუზნეცოვი. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციას საკითხის ასეთი გადაჭრა მიაჩნია დროებით გამოსავლად შექმნილი მდგომარეობიდან. მას საჭიროდ მიაჩნია ხაზგასმით აღნიშნოს, რომ კვლავაც იბრძოლებს იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს დისკრიმინაციას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების არჩევნების დროს.

შემდეგ მოეწყო კენჭისყრა, რომლის შედეგად არჩეულია პოლონეთი, რომელსაც ხმა მისცა 71 დელეგაციამ.

შემდეგ გაიმართა ეურვეობის საბჭოს ორი წევრის მორიგი არჩევნები. კენჭისყრის შედეგად კვლავ არჩეულია ინდოეთი და ჰაიტის ნაცვლად არჩეულია ბოლივია.

გენერალური ასამბლეის XIV სესიის დღის წესრიგი ამოწურულია. სიტყვა ეძლევა გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს პერუს წარმომადგენელს ვ�ტორ ბელაუნდეს, რომელმაც გამოთქვა სურვილი, რომ „მშვიდობის ამ ასამბლეის დამთავრება“ გახდეს კეთილი ნიშანი დიდი სახელმწიფოების თანმირიათვის.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაური ვ. ვ. კუზნეცოვი, რომელმაც შეაჯამა სესიის შედეგები.

უფრო საქმიანი ატმოსფეროს შექმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ხაზგასმით აღნიშნა ვ. ვ. კუზნეცოვმა, ეუბეველია ხელი შეუწყო საერთაშორისო ვითარების დაწყებულმა გაუჯობესებამ, რომელშიც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მისმა საუბრებმა პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან და გამოსვლამ გენერალურ ასამბლეაზე. ჩვენ მოხარული ვართ აღვნიშნოთ, განაგრძო ვ. ვ. კუზნეცოვმა რომ გენერალური ასამბლეის XIV სესიამ შეასრულა კეთილნაყოფიერი მუშაობა, მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება და სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის განვითარება.

დასასრულ საბჭოთა წარმომადგენელმა იმედი გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიტანს თავის ღირსეულ წვლილს საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში, და განაცხადა, რომ საბჭოთა ხალხი და მისი მთავრობა არ დაიშურებენ ძალღონეს რათა მიაღწიონ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას, კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას ყველა სახელმწიფოს შორის, საყოველთაო და სრული განიარაღების იდეების განხორციელებასა და მტკიცე მშვიდობის დამყარებს მთელ მსოფლიოში.

სხვა დელეგატების გამოსვლის შემდეგ გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ სესია დახურულად გამოაცხადა.

სიცოცხლისათვის, სიკეთისა და წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 14 დეკემბერი. (საკდესი). 13 დეკემბერს საღამოს დაიხურა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა, რომელიც 4 დღეს გრძელდებოდა. ყრილობამ მიიღო მთელი რიგი რეზოლუციები.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია, ნათქვამია ერთ-ერთ რეზოლუციაში, „წარმატებით იბრძოდა და მან განაადგურა რევიზიონისტები“, აგრეთვე „ანტიპარტიელ დოგმატიკოს სექტანტთა“ ჯგუფი. ამავე დროს კომპარტიამ ჯერ კიდევ უნდა „დაძლიოს თავისი იზოლაცია მუშათა მოძრაობის გადამწყვეტი ნაწილებისაგან“.

ყრილობის მუშაობის უკანასკნელ დღეს მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „დღევანდელი დღის დიდმნიშვნელოვანი მოვლენები საზოგადოებრიობის განსახილველად აყენებენ ბევრ ძირეულ საკითხს“. მათ შორის არის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მშვიდობის უზრუნველყოფასთან და განიარაღების განხორციელებასთან, აგრეთვე მშვიდობიანი შეჯიბრების პრობლემები. ყოველივე ამან, ნათქვამია რეზოლუციაში, „გამოიწვია უდიდესი ინტერესი სოციალისტური სამყაროსადმი. ჩვენი ქვეყნის მილიონობით ადამიანი თანდათან აღარებს ახლა ერთმანეთს ორ სოციალურ სისტემას.

ამ ახალ ინტერესს, აღნიშნულია შემდეგ, „სტიმულს აძლევს სოციალისტური სამყაროს მიღწევები მეცნიერების, განათლების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში, აგრეთვე ისტორიული საბჭოთა შვიდწლიანი გეგმა, რომელიც ახალ ეპოქაშია წარმატებათა აღმოქმელია. საბჭოთა კავშირის საშვიდობო პოლიტიკა, კერძოდ ამასწინანდელი წინადადება სრული განიარაღების შესახებ უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო საქმეებზე, იგი შეესაბამება ხალხთა მასების უაღრესად სანუკვარ სურვილებს, რომლებიც ცდილობენ თავიდან აიცილონ ატომური ომის შედეგად მოსალოდნელი დაღუპვა“.

ამიტომ, ნათქვამია რეზოლუციაში, „საჭიროა დროზე და განუწყვეტლივ ცხადყოთ სოციალიზმის უპირატესობა კაპიტალიზმთან შედარებით და პერსპექტივები ბედნიერი და მშვიდობიანი ცხოვრებისა, რასაც სოციალიზმი სახავს კაცობრიობის წინაშე“.

რეზოლუციაში, რომელიც ეძღვნება ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას და იმას, რომ საჭიროა მშვიდობის პოლიტიკა, ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთელი კაცობრიობის კეთილდღეობის ინტერესები მოითხოვენ შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას.

ეი ამტომ, ნათქვამია რეზოლუციაში, ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიულმა ვიზიტმა შეერთებულ შტატებში და დ. ეიზენჰაუერის მომავალმა ვიზიტმა საბჭოთა კავშირში „მშვიდობის უდიდესი იმედი გამოიწვია ამერიკელ ხალხსა და მთელ მსოფლიოში“.

მაგრამ, ნათქვამია შემდეგ, „თუმცა საერთაშორისო ურთიერთობაში დაიწყო დათბობა“, ცივი ომი „არ დამთავრებულა“. ცივი ომის მომხრენი „ჯერ კიდევ ძლიერი არიან და ცდილობენ დააბრუნონ „ძალის პოზიციის“ გაკოტრებული პოლიტიკა“.

ცივი ომის პოლიტიკა რომ შეიცვალოს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკით და საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის პოლიტიკით, ხაზგასმულია რეზოლუციაში, „საჭიროა დავამარცხოთ ცივი ომის ეს მომხრენი“. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ჩვენი ქვეყნის ხალხის გაწყობილება, რომელიც სულ უფრო იცვლება, მოწმობს იმის ახალ შესაძლებლობებს, რომ გაიშალოს ფართო მასობრივი მოქმედება მშვიდობისათვის ბრძოლასთან დაკავშირებული თვითეული კონკრეტული საკითხის გარშემო“.

რეზოლუცია მთავრდება მოწოდებით: სიცოცხლისათვის, სიკეთისა და წინააღმდეგ!, წარმოებისათვის მშვიდობიანი მიზნებით და არა ნგრევისათვის! ბოლო მოგვეფინოს საერთაშორისო „უნდობლობას!, ბოლო მოვუღოთ ცივ ომს! მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკისათვის!“.

პ. პ. ლობანოვი სამშობლოში გამოემგზავრა

რანგუნი, 14 დეკემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე პ. პ. ლობანოვი, რომელიც ათი დღის საპასუხო ვიზიტით იყო აქ ბირმის პარლამენტის პალატების თავმჯდომარეთა მოწვევით, დღეს სამშობლოში გაფრინდა.

მინგალადონის აეროპორტში იგი გააცილეს ბირმის პარლამენტის ხელმძღვანელებმა და წევრებმა, ბირმის საზოგადოებრივი და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებმა, სსრ კავშირის ელჩმა ბირმაში ა. მ. ლედოვსკიმ.

მოკლე სიტყვა წარმოთქვა ბირმის პარლამენტის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ უ. ტინმა. მან გამოთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის პ. პ. ლობანოვის ვიზიტს ბირმაში შედეგად მოჰყვება ურთიერთგაგების შემდგომი გაღრმავება და მეგობრობისა და სოლიდარობის ურთიერთობის განმტკიცება ორ ქვეყანას შორის.

არეულობა კარაგვაიში

ბუენოს-აირესი, 13 დეკემბერი. (საკდესი). როგორც პრესა და რადიო იუწყებიან, 11 დეკემბერს ღამით პარაგვაიში იფეთქა აჯანყებამ სტრესნერის რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ. არგენტინის დეპეშათა საგენტო ტელეპრესი იუწყება, რომ პარაგვაელმა აჯანყებულებმა დაიწყეს შეტევა პარაგვაის ათ სხვადასხვა პუნქტში. მთელი წუხანდელი ღამის მანძილზე ქალაქ ენკარნასიონში ისმოდა თოფისა და ქვემეხის სროლა.

აჯანყებულთა სარდლობამ რადიოთი გამოაქვეყნა ბრძოლის პროგრამა, რომელიც, კერძოდ, ითვალისწინებს თანასწორ უფლებათა გარანტიას ყველა მოქალაქისათვის, 1940 წლის კონსტიტუციის და ყველა რეპრესიული კანონის გაუქმებას, სიტყვის თავისუფლების მინიჭებას, ეროვნული საკონსტიტუციო ასამბლეის მოწვევას.

დამთავრდა დილონის მოლაპარაკება პარიზში

პარიზი, 14 დეკემბერი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი პარიზში ვ. სოსოვეა იუწყება: „ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ დილონმა დატოვა დღეს პარიზი, სადაც იგი აწარმოებდა მოლაპარაკებას.

ამერიკის ხელმძღვანელნი შემფოთებული არიან დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ეკონომიური წინააღმდეგობათა გამწვავებით და, კერძოდ, მათი გაყოფით ორ ბლოკად: ეგრეთწოდებულ „საერთო ბაზრად“ (საფრანგეთი, დასავლეთი გერმანია, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი) და შვიდი ქვეყნის გაერთიანებად (ინგლისი, შვეიცია, ნორვეგია, დანია, შვეიცარია, პორტუგალია, ავსტრია).

კომენტარს უკეთებს რა დილონის მოლაპარაკებას, გაზეთი „ფრანს-სუარი“ წერს: „ოფიციალურად ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ თავიდან აიცილონ ტარიფული ომი ევროპასა და ამერიკის შორის. სინამდვილეში ისინი ყოველნაირად ცდილობენ თავიდან აიცილონ ევროპის საკავშირო შეთანხმებათა დადება, რომლებიც შეიძლება მათ წინააღმდეგ შემობრუნდეს“.

პარიზიდან გამგზავრების წინ დილონი მიიღეს პრემიერ-მინისტრმა დებრემ და ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა პინემ. დებრესთან დილონის საუბრის დროს, როგორც ფრანს პრესის სააგენტო აღნიშნავს, დადასტურდა საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანხმობა იმის შესახებ, რომ „საჭიროა ევროპისა და დასავლეთის სამყაროს ეკონომიური განვითარება საერთოდ და მსოფლიო ვაჭრობის გაფართოება“. პინემ აღუთქვა დილონს, რომ საფრანგეთი განაგრძობს საბაჟო ბარიერების თანდათანობით გაუქმების პოლიტიკას.

ზამთრის სუსხიანი დღეა. ბუნებამ თავისი ჯადოსნური ფუნჯით თეთრი არშია შემოვლო ყინვებისაგან გათოშილ ხეებს, სპეტაკი ნაბადი წამოასხა მარადმწვანე ნაძვებს. ცაში შავ სვეტებად მიიკლაკნება მილებიდან ამოსული კვამლი.

ყინვა უხილავი ნემსებით ჩხვლეტს, თურაშაული ვაშლივით აღაჟღაჟებს ლოყებს.

რა სჯობს ამ დროს სუფთა ჰაერზე ყოფნას. მით უმეტეს, თუ მადლიანი შრომით გული უკვე იჯერე. სეირნობ და იხიბლები დედა-ბოლისას სიმშვენიერით. სეირნობ და გრძნობ, როგორ გიკაუდება სხეული. წინ ხომ კიდევ ბევრი ხასახელო შრომითა სამშე გელის, შვიდწლედის გმირო, მშრომელო ადამიანო.

სურათზე: თბილისის აბრეშუმსაქმოსი ფაბრიკის მოწინავე მქსოველები ეთერ აფციაური (მარცხნივ) და ნათელა რამიშვილი დასვენების დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ინდოეთ-ამერიკის ურთიერთგაგების ატმოსფეროში

საგარეო საქმეთა მინისტრ ანდერსენის ვიზიტი ინდოეთში

ნიუ-იორკი, 13 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დილის 4 საათსა და 10 წუთზე ადგილობრივი დროით (12 საათსა და 10 წუთზე მოსკოვის დროით) მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIV სესიამ. სესიის უკანასკნელ დღეს მოეწყო ასამბლეის სამი პლენარული სხდომა და დამთავრდა დღის წესრიგის დარჩენილი პუნქტების განხილვა.

დილის მთელი პლენარული სხდომა და დღის პლენარული სხდომის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა ალჟირის საკითხს, რომელზეც ასამბლეამ ვერ მიიღო რაიმე გადაწყვეტილება.

გენერალურმა ასამბლეამ შემდეგ ერთსულოვნად ძოიწონა რეზოლუცია კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების შესახებ, რომელიც წარადგინა პოლიტიკურმა კომიტეტმა. ეს რეზოლუცია აარსებს კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების კომიტეტს 24 სახელმწიფოს წარმომადგენელთა შემადგენლობით. კომიტეტის ამოცანაა შეისწავლოს პრაქტიკული ღონისძიებანი კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების პროგრამის განსახორციელებლად და ყოველნაირი დახმარება გაუწიოს ეროვნულ მეცნიერულ-კვლევითი პროგრამების განხორციელებას კოსმოსის შესწავლის დარგში.

საღამოს სხდომაზე ასამბლეამ განიხილა მთელი რიგი მოხსენებანი,

ამის შემდეგ ასამბლეა შეუდგა უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრისა და მეურვეობის საბჭოს ორი წევრის არჩევას.

გენერალური ასამბლეის წინა სხდომებზე მოეწყო პოლონეთისა და თურქეთის კანდიდატურების არჩევნები უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრთა ერთ-ერთ ადგილზე. როგორც ცნობილია, პოლონეთის კანდიდატურა ურთიერთთანხმობით დასახელეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ამ ადგილზე, რომელიც სამართლიანად ეკუთვნის მსოფლიოს ამ რაიონს. ამავე დროს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, პოლონეთის არჩევა რომ არ დაეშვათ, დასახელეს თურქეთის კანდიდატურა. სულ მოეწყო კენჭისყრის 51 ტური, ამასთან 42 ტურში პოლონეთმა მეტი ხმა მიიღო, ვიდრე თურქეთმა.

შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით დელეგაციების შორის გაიმართა მოლაპარაკება, რის შედეგადაც მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვით პოლონეთი რჩება უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრის ადგილის ერთადერთი კანდიდატი. თუ აირჩიეს, პოლონეთი ამ ადგილზე იქნება 1960 წლის განმავლობაში, ხოლო XV სესიაზე შემდეგი წლისათვის თურქეთს აირჩევენ.

ამასთან დაკავშირებით გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ვ. ვ. კუზნეცოვი. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციას საკითხის ასეთი გადაჭრა მიაჩნია დროებით გამოსავლად შექმნილი მდგომარეობიდან. მას საჭიროდ მიაჩნია ხაზგასმით აღნიშნოს, რომ კვლავაც იბრძოლებს იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს დისკრიმინაციას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების არჩევნების დროს.

შემდეგ მოეწყო კენჭისყრა, რომლის შედეგად არჩეულია პოლონეთი, რომელსაც ხმა მისცა 71 დელეგაციამ.

შემდეგ გაიმართა ეურვეობის საბჭოს ორი წევრის მორიგი არჩევნები. კენჭისყრის შედეგად კვლავ არჩეულია ინდოეთი და ჰაიტის ნაცვლად არჩეულია ბოლივია.

გენერალური ასამბლეის XIV სესიის დღის წესრიგი ამოწურულია. სიტყვა ეძლევა გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს პერუს წარმომადგენელს ვიქტორ ბელაუნდეს, რომელმაც გამოთქვა სურვილი, რომ „მშვიდობის ამ ასამბლეის დამთავრება“ გახდეს კეთილი ნიშანი დიდი სახელმწიფოების თანმირიათვის.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაური ვ. ვ. კუზნეცოვი, რომელმაც შეაჯამა სესიის შედეგები.

უფრო საქმიანი ატმოსფეროს შექმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ხაზგასმით აღნიშნა ვ. ვ. კუზნეცოვმა, ეუბეველია ხელი შეუწყო საერთაშორისო ვითარების დაწყებულმა გაუჯობესებამ, რომელშიც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მისმა საუბრებმა პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან და გამოსვლამ გენერალურ ასამბლეაზე. ჩვენ მოხარული ვართ აღვნიშნოთ, განაგრძო ვ. ვ. კუზნეცოვმა რომ გენერალური ასამბლეის XIV სესიამ შეასრულა კეთილნაყოფიერი მუშაობა, მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება და სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის განვითარება.

დასასრულ საბჭოთა წარმომადგენელმა იმედი გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიტანს თავის ღირსეულ წვლილს საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში, და განაცხადა, რომ საბჭოთა ხალხი და მისი მთავრობა არ დაიშურებენ ძალღონეს რათა მიაღწიონ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას, კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას ყველა სახელმწიფოს შორის, საყოველთაო და სრული განიარაღების იდეების განხორციელებასა და მტკიცე მშვიდობის დამყარებს მთელ მსოფლიოში.

სხვა დელეგატების გამოსვლის შემდეგ გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ სესია დახურულად გამოაცხადა.

ეიზენჰაუერი ინდოეთში ჩავიდა

ათენი, 14 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი.

ამერიკა-ირანის ერთობლივი კომუნიკე

თეირანი, 14 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა კომუნიკე ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერისა და ირანის შაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევის მოლაპარაკების შესახებ.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ პრეზიდენტმა და შაჰმა განიხილეს საერთაშორისო პოლიტიკური პრობლემები, განსაკუთრებით ის პრობლემები, რომლებიც შეეხება შუა აღმოსავლეთს. კომუნიკეში, კერძოდ, ხაზგასმულია სამხედრო ჰაქტის სენტოს „დიდი მნიშვნელობა ამ რაიონში სტაბილობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის“, აგრეთვე ირან-ამერიკის ორმხრივი შეთანხმების „სარგებლიანობა“.

ისინი შეთანხმდნენ, რომ მტკიცე მშვიდობის ინტერესებისათვის საჭიროა მიღწეულ იქნას „განიარაღება შესაბამისი კონტროლით“. პრეზიდენტმა და შაჰმა განაცხადეს, რომ სწამთ „მოლაპარაკების პრინციპი“ როგორც საშუალება, იმ პრობლემების სამართლიანი და მშვიდობიანი გადაჭრისათვის, რომლებიც წამოიჭრება ქვეყნებს შორის“.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ კვლავ გაუწიონ დახმარება ირანს „ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის“.

დ. ეიზენჰაუერი ათენს ჩავიდა

ათენი, 14 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი.

ფრანგების ზარალი ალჟირში

კაირო, 13 დეკემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი სარდლობის კომუნიკე საომარი მოქმედების შესახებ ალჟირში 5-დან 9 დეკემბრამდე. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ამ პერიოდში ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის ქვეგანაყოფები მონაწილეობდნენ 15 ბრძოლაში მტრის წინააღმდეგ და 10-ჯერ ჩაუსაფრდნენ საფრანგეთის სამხედრო ბადრაგს.

საფრანგეთის ჯარების ზარალი აღნიშნულ პერიოდში შეადგენს 114 კაცს მოკლულთა და 57 კაცს დაჭრილთა სახით. მოსპობილია ფრანგების 11 სამხედრო ავტომანქანა. ალჟირელებმა ხელთ იგდეს იარაღი და დიდძალი საომარი მასალა.



ინდოეთი, ქ. აგრა. მსოფლიო არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუში, მავზოლეუმი „ტაჯ-მაჰალი“.

ფოტო ა. უშვერიძისა.

მუშვიდობა, მეგობრობა— აი რა სურთ ხალხებს

დელი, 14 დეკემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ინდოეთ-ამერიკის კომუნიკე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერის ინდოეთში ყოფნის შესახებ.

თავისი ოთხი დღის ვიზიტის დროს პრეზიდენტი ეიზენჰაუერი რამდენჯერმე გამოვიდა საზოგადოებრიობის წინაშე. იგი გამოვიდა ინდოეთის პარლამენტის წევრების წინაშე, დელის უნივერსიტეტისაგან მიიღო სამართლის საპატიო დოქტორის ხარისხი, დაესწრო საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საზეიმო გახსნას და იყო სოფლის რაიონებში აგრის ახლოს.

პრეზიდენტი ეიზენჰაუერი შეხვდა ინდოეთის პრეზიდენტს, ინდოეთის პრემიერ-მინისტრსა და მთავრობის სხვა წევრებს.

პრეზიდენტმა, ნათქვამია კომუნიკეში, „უთხრა პრემიერ-მინისტრს, რომ მოხარულია აცნობოს მას, რომ ყველა იმ ქვეყნის ხელმძღვანელებმა, რომლებშიც იგი იყო თავისი მოგზაურობის დროს, გამოთქვეს იმედი, რომ პრობლემები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებულია ინტერესთა ან თვალსაზრისთა შეჯახებასთან. შეიძლება მოწესრიგდეს მორიგების მშვიდობიანი მეთოდებით. ...პრეზიდენტმა მიიჩნია, რომ ეს სასიხარულოა და ემთხვევა მის საკუთარ აზრს. მან არ მოისურვა რაიმე სახით შეეტაცონებინა იმ სიძნელეთა მნიშვნელობა, რომლებიც არსებობთ კავშირი აქვს ზოგიერთ პრობლემას. მან დაინახა, რომ განწყობილება მხნეა და გამსჭვალულია ოპტიმიზმით.

პრემიერ-მინისტრმა კმაყოფილება და სიხარული გამოთქვა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ვიზიტის გამო ინდოეთში და მადლობა გადაუხადა მას გულთბილი და სულგრძელი გრძნობებისათვის, რომლებიც ამე მან გამოთქვა. მან აღუთქვა პრეზიდენტს, რომ ინდოეთი გულწრფელად დაუჭერს მხარს მის განუწყვეტელ ღონისძიებებს საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში. ინდოეთი თვითონ ახორციელებს მთელი ძალღონით მშვიდობის პოლიტიკას და მტკიცედ სწამს, რომ უთანხმობა ქვეყნებს შორის უნდა მოგვარდეს მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკებისა და მოწესრიგების მეთოდით და არა ძალის საშუალებით. ინდოეთი განუხრელად ახორციელებს ამ პოლიტიკას ისეთი ხასიათის პრობლემების მიმართ, რომლებიც ეხება მას და სხვა ქვეყნებს“.

„პრემიერ-მინისტრმა, — ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, — აღნიშნა აგრეთვე უდიდესი ღონისძიებანი, რომლებსაც ინდოეთი ახორციელებს თავისი ხუთწლიანი გეგმების შესრულების მსვლელობაში იმისათვის, რომ ინდოეთი განვითარდეს როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის მხრივ, რათა რაც შეიძლება მალე ამაღლდეს ხალხის ცხოვრების დონე. ინდოეთის 400-მილიონიანი ხალხის მომავალთან დაკავშირებულ ამ დიად ამოცანას იგი ასრულებს მთელი თავისი ძალით და ნებისყოფით“.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა გამოთქვეს „მტკიცე რწმენა, რომ მათი საერთო იდეალები და მიზნები და მშვიდობისადმი მისწრაფება უზრუნველყოფენ ორივე ქვეყანას შორის მტკიცე მეგობრობის შენარჩუნებასა და გაძლიერებას“.

ინდოეთ-ამერიკის ურთიერთგაგების ატმოსფეროში

ეიზენჰაუერი ინდოეთში

თეირანი, 14 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დელიდან აქ ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი.

• • •

თეირანი, 14 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი, რომელიც თეირანში იმყოფება ხახმოელე ოფიციალური ვიზიტით, დღეს გამოვიდა ირანის რეგალის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე.

ჩვენ დაუცხრომლად უნდა ვფიქრობდეთ მშვიდობაზე, რომელსაც დავუტოვებთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს, განაცხადა ეიზენჰაუერმა. მომავლის მკაფიო კონტურები, განაგრძო პრეზიდენტმა, მე ვფიქრობ, ნათელია ყველასათვის: მივაღწიოთ სამართლიანობასა და მშვიდობას.

აღნიშნა რა, რომ ნამდვილი მშვიდობის მიღწევა გზაზე დიდი სიძნელეებია, პოეზიდენტმა თქვა, რომ ასეთი მშვიდობის მისაღწევად პრაქტიკული ნაბიჯია შეთანხმება განიარაღების შესახებ, ან, უფრო ზუსტად რომ ითქვას, შეიარაღების შემცირების შესახებ. ამ მიზნის მიღწევას, თქვა მან, ამერიკის მთავრობა ცდილობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საშუალებით. „ხვა გზა, როგორც ჩანს, არ არის, ხაზგასმით აღნიშნა ეიზენჰაუერმა.

ეიზენჰაუერი ამბრთლებდა ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაციის (სენტო) არაებთან, და თქვა, რომ ეს ორგანიზაცია ემსახურება „უშიშროების უზრუნველყოფის საქმეს“.

შემდეგ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ ითანამშრომლონ ყველა ქვეყანასთან „მშვიდობიანა და მეგობრობისათვის თავისუფლების პირობებში“.

ამერიკა-ირანის ერთობლივი კომუნიკე

თეირანი, 14 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერი, ირანის შაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევის მოლაპარაკების შესახებ.

ჩვენ დაუცხრომლად უნდა ვფიქრობდეთ მშვიდობაზე, რომელსაც დავუტოვებთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს, განაცხადა ეიზენჰაუერმა. მომავლის მკაფიო კონტურები, განაგრძო პრეზიდენტმა, მე ვფიქრობ, ნათელია ყველასათვის: მივაღწიოთ სამართლიანობასა და მშვიდობას.

აღნიშნა რა, რომ ნამდვილი მშვიდობის მიღწევა გზაზე დიდი სიძნელეებია, პოეზიდენტმა თქვა, რომ ასეთი მშვიდობის მისაღწევად პრაქტიკული ნაბიჯია შეთანხმება განიარაღების შესახებ, ან, უფრო ზუსტად რომ ითქვას, შეიარაღების შემცირების შესახებ. ამ მიზნის მიღწევას, თქვა მან, ამერიკის მთავრობა ცდილობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საშუალებით. „ხვა გზა, როგორც ჩანს, არ არის, ხაზგასმით აღნიშნა ეიზენჰაუერმა.

ეიზენჰაუერი ამბრთლებდა ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაციის (სენტო) არაებთან, და თქვა, რომ ეს ორგანიზაცია ემსახურება „უშიშროების უზრუნველყოფის საქმეს“.

შემდეგ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ